საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.

2016 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 52 განცხადება, აქედან:

ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 35 განცხადებაზე;
ბ) 7 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
გ) 8 განცხადებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) 2 განცხადება დამუშავების პროცესშია (განმცხადებელს არ აქვს გადახდილი შესაბამისი მოსაკრებლის ოდენობა).

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე, იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო კონფიდენციალური.